რეგლამენტი

1.შეჯიბრის ტიპი:

საქართველოს ჩემპიონატი, ენდურო კლასი, ეტაპი II

ვერეს ხეობის მეფე

1.1 შეჯიბრი ტარდება არასაერთო მოხმარების გზაზე,რომელიც სპეციალურად დაგეგმილია შეჯიბრისთვის. შეჯიბრის ხანგრძლივობა განისაზღვრება 6 საათით, საშეჯიბრო გზა მოიცავს დაახლოებით 40კმ-იან მონაკვეთს სხვადასხვა ბუნებრივი დაბრკოლებებით:

აღმართის დაძლევა,ტყის ბილიკები,ხეობა, ქვიანი რელიეფი,მდინარის კალაპოტი

1.2 შეჯიბრი დაყოფილია სამ კატეგორიად:

ენდურო ექსპერტი

ენდურო მოდერეითი

ენდურო ჰობი

1.4 შეჯიბრის გამარჯვებულები კატეგორიების მიხედვით გამოვლინდებიან მოცემული საშეჯიბრო გზის გავლის სისწორის და სისწრაფის მიხედვით

1.5 შეჯიბრის მონაწილეებს ელექტრონულად გადაეგზავნებათ საშეჯიბრო გზა, რომელიც თვითონვე უნდა ჩაიწერონ საკუთრებაში არსებული GPS მოწყობილობებში.

1.6 შეჯიბრის დასრულებისთანავე მონაწილე გადასცემს შეჯიბრის ტექ.პერსონალს მის საკუთრებაში არსებულ GPS-ს რათა მოხდეს გავლილი საშეჯიბრო გზის ჩამოწერა და გადამოწმება.

2.მოტოტრანსპორტის კლასიფიკაცია.

2.1 შეჯიბრიში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ტიპის ენდურო მოტოციკლს. ძრავის მოცულობა არ არის შეზღუდული.მოტოციკლები არ დაიყოფა კლასების მიხედვით.

2.2 მოტოციკლი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო მოხმარების გზებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა წესს: უნდა ჰქონდეს სანომრე ნიშანი,მიმმართველები და შესაბამისი სანათები.

3. უსაფრთხოება

3.1 შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენი ვალდებულია აღჭურვილი იყოს შემდეგი ეკიპირებით და ნივთებით:

GPS-აუცილებელი

მოტოზე GPS-ის სამაგრები-აუცილებელი

მობლური ტელეფონი-აუცილებელი

სარეზერვო ელემენტი GPS-ისთვის/მობილური ტელეფონისთვის -აუცილებელი

მოტობოტი-აუცილებელი

ჩაფხუტი-აუცილებელი

ხელთათმანი-აუცილებელი

წყლის რეზერვუარი(ქემელბექი)-აუცილებელი

სათვალე-აუცილებელი

გულმკერდის დამცავი-სასურველი

სამუხლე-სასურველი

საიდაყვე-სასურველი

საბურავებში რეკომენდირებულია მუსები. კამერის შემთხვევაში აუცილებელია ზურგჩანთაში გქონდეთ სარეზერვო კამერები ან/და კამერის დასაწებებელი ინსტრუმენტები

3.2 თითოეული მონაწილე აცნობიერებს შეჯიბრთან დაკავშირებულ რისკებს და პასუხისმგებელია როგორც პირად, ასევე სხვა მონაწილის და მაყურებლის უსაფრთხოებაზე.

3.3 მაყურებელი ვალდებულია შეჯიბრის მსვლელობის დროს არ გადაკვეთოს მათთვის გამოყოფილი ტერიტორია და უპასუხისმგებლო ქმედებით საფრთხე არ შეუქმნას პირად და სხვის ჯანმრთელობას,ასევე სხვის მატერიალურ ქონებას.

3.4 ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის დარღვევის შემთხვევაში,ორგანიზატორები თავისუფლდებიან სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

4.ორგანიზატორის ვალდებულებები.

4.1 ორგანიზატორი ვალდებულია: მოახდინოს შეჯიბრის მართებული დაგეგმარება,შესაბამისი გარემოფაქტორების გათვალისწინებით,უშუალო კოორდინირება გაწიოს შეჯიბრის მოსამზადებელ სამუშაოებსა და შეჯიბრის მსვლელობის დროს.

4.2 ორგანიზატორი ვალდებულია: მონაწილეებს წინასწარ აცნობოს შეჯიბრთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია და რისკფაქტორები.

4.3 ორგანიზატორი ვალდებულია: შეჯიბრისთვის გამოყოს მსაჯების განსაზღვრული რაოდენობა და უზრუნველყოს ობიექტური მსაჯობა.

4.4 ორგანიზატორი ვალდებულია: მაყურებლისათვის წინასწარ განსაზღვროს და გამოყოს ადგილი/ები.

5.მონაწილეების ვალდებულებები

5.1 მონაწილე ვალდებულია: გაიაროს საშეჯიბრო რეგისტრაცია ორგანიზატორების მიერ წინასწარ დადგენილი წესით, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები რეგისტრაციისთვის: სრულწლოვანების შემთხვევაში: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ გაცემული - ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ლიცენზია.

არასრულწლოვანების შემთხვევაში: მშობელი/მეურვე ვალდებულია განახორციელოს არასრულწლოვანის რეგისტრაცია. წარმოადგინოს დაბადების მოწმობის ასლი, მშობლის/მეურვის პირადობის მოწმობის ასლი და საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის მიერ გაცემული - ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ლიცენზია.

5.2 მონაწილე ვალდებულია: დაესწროს ორგანიზატორების მიერ ორგანიზებულ ბრიფინგს,რომლის დრო და ადგილი წინასწარ იქნება განსაზღვრული ორგანიზატორების მიერ. მონაწილის ბრიფინგზე გამოცხადება დადასტურდება მისი ხელმოწერით.

არასრულწლოვანი მონაწილე ვალდებულია ბრიფინგზე გამოცხადდეს მშობელთან/მეურვესთან ერთად.

ბრიფინგზე იქნბა მიწოდებული ინფორმაცია შეჯიბრთან და ზოგად რისკებთან დაკავშირებით,მონაწილეები გაეცნობიან შეჯიბრის რეგლამენტს.

5.3 მონაწილე ვალდებულია :შეჯიბრის დაწყებამდე 1 საათით ადრე გამოცხადდეს სასტარტო ბანაკთან, გააჩეროს მოტოციკლი წინასწარ მოწყობილ მოტოპარკში და გაიაროს რეგისტრაცია მოტოპარკის პასუხისმგებელ პირთან,რის შედეგადაც პასუხისმგებელი პირი მიუთითებს სპორტსმენს მისი მოტოციკლის განთავსების ადგილს. სასტარტო ადგილზე მოტოციკლის მოთავსების შემდეგ აკრძალულია მოტოტრანსპორტის მართვა უშუალოდ შეჯიბრის მსვლელობის დროის გარდა, ან/და მსაჯის ნებართვით.

5.4 მონაწილე ვალდებულია: უსიტყვოდ დაემორჩილოს მსაჯების და ორგანიზატორების მითითებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მონაწილის დისკვალიფიკაცია.

5.5 მონაწილეს ეკრძალება: არაფხიზელ მდგომარეობაში შეჯიბრში მონაწილეობის მიღება.

5.6 მონაწილეს ეკრძალება: სხვისი მოტოტრანსპორტის შეხება.

5.7 მონაწილეს ეკრძალება: არასპორტული საქციელი, რაც გამოიხატება შემდეგში: უცენზურო სიტყვების ხმარება,ტერიტორიის დანაგვიანება,გამიზნულად მოწინააღმდეგის დაზიანება ან შეყოვნება,თვითნებურად საშეჯიბრო გზაზე გასვლა, მსაჯთან/ორგანიზატორთან შელაპარაკება და დაუმორჩილებლობა, წინასწარ დადგენილი წესების მიზანმიმართულად დარღვევა.

5.8 სასტარტო მოტობანაკში მოტოტრანსპორტის მოთავსების შემდეგ მონაწილეს ეკრძალება მოტოციკლით ყველანაირი გადაადგილება გარდა უშუალოდ შეჯიბრის დროისა ან/და მსაჯის ნებართვის გარეშე.

5.9 ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების უგულებელყოფა გამოიწვევს სპორტსმენის დისკვალიფიკაციას.

6. რეგისტრაცია

6.1 შეჯიბრზე რეგისტრაციის საფასურს შეადგენს 250 ლარი: მათ შორის შეჯიბრში მონაწილეობის საფასური 200 ლარი, ეროვნულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ერთჯერადი ლიცენზიის საფასური 50 ლარი.

შენიშვნა: ლიცენზიის მქონე მრბოლელების შედეგები შეტანილ იქნება ეროვნული ჩემპიონატის წლიურ რეიტინგში.

6.3 რეგისტრაცია დაიწყება ორგანიზატორების მიერ წინასწარ განსაზღვრული წესით. მონაწილე ვალდებულია დროულად გაიაროს რეგისტრაცია,საშეჯიბრო ნომერი განისაზღვრება რეგისტრაციის მიხედვით ავტომატურად. რეგისტრაციისთვის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია იხ.პუნქტი **5.1.**

7. საშეჯიბრო წესები

7.1 სტარტის მოწყობა: მონაწილეების განლაგება სტარტზე მოხდება,რეგისტრაციის შედეგად მიღებული სასტარტო ნომრების მიხედვით.თითოეული მონაწილე სტარტს აიღებს 10 წამიანი ინტერვალით.დადგენილ დროს სტარტზე არ გამოცხადების შემთხვევაში მონაწილე გადაინაცვლებს ბოლო სასტარტო პოზიციაზე. მონაწილე ვალდებულია სტარტზე გამოცხადდეს სრული ეკიპირებით და საწვავის სავსე ავზით.

შენიშვნა: შეჯიბრის განმავლობაში მოტოციკლით გადაადგილების დროს სპორტსმენი ვალდებულია ჩაფხუტის ღვედი ჰქონდეს შეკრული. ორგანიზატორის ან მსაჯის მიერ გახსნილი ღვედის დაფიქსირების შემთხვევაში ორგანიზატორი და მსაჯი ვალდებულია მონაწილე განმარტებების გარეშე ავტომატურად გამოთიშოს შეჯიბრს.

7.2 საგუშაგოს (checkpoint) გავლა: იმისთვის რომ დაფიქსირდეს სპორტსმენის მიერ შესაბამისი საგუშაგოს (checkpoint) გადაკვეთა,აუცილებელია მონაწილემ საგუშაგო (checkpoint) გადაკვეთოს წინასწარ მოწყობილი კორიდორის საშუალებით, კორიდორში აკრძალულია გადასწრება და მოტოციკლების შეჯახება. კორიდორის გასასვლელში მონაწილე ვალდებულია შეჩერდეს საგუშაგოს მსაჯთან, რათა მან მოახდინოს მონაწილის სასტარტო ნომრის დაფიქსირება და შეამოწმოს მისი ეკიპირება. მონაწილეს გავლილად ჩაეთვლება ის ბოლო საგუშაგო რომელზეც დაფიქსირდა მისი ნომერი შეჯიბრისთვის განკუთვნილ დროში.

7.3 მონაწილე ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე გადაადგილდეს წინასწარ მონიშნული ტრაექტორიით. ტრაექტორიიდან გასვლა,საშეჯიბრო გზის მიზანმიმართულად ავლისთვის განსაზღვრულია დაჯარიმება. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს იძულებით მოუწია მონიშნული ტრაექტორიიდან გასვლა,იგი ვალდებულია საშეჯიბრო გზაზე დაბრუნდეს გასვლის ადგილიდან.

7.4 შეჯიბრის მსვლელობის დროს საშეჯიბრო გზაზე დაუშვებულია გარეშე პირის მიერ მონაწილის დახმარება, დაშვებულია მონაწილეების მიერ ურთიერთდახმარება ყველა მონაკვეთზე.

7.5 შეჯიბრის გამარჯვებულები შესაბამის კლასში გამოვლინდებიან მოცემული საშეჯიბრო გზის სწრაფად და მოცემული ტრაექტორიის სწორად გავლის შედეგად.

7.6 იმ შემთხვევაში თუ მონაწილემ გადაწყვიტა შეჯიბრის შეწყვეტა ან დაასრულა შეჯიბრი,იგი ვალდებულია დატოვოს საშეჯიბრო გზა გააჩეროს მოტოციკლი უსაფრთხო ადგილზე და დაელოდოს შეჯიბრის დასრულებას საშეჯიბრო გზასთან ახლოს, თუ არის შესაძლებლობა მივიდეს უახლოეს მსაჯთან და იქ დაელოდოს შეჯიბრის დასრულებას.

შეჯიბრის დასრულებისას ორგანიზატორების მიერ მოხდება საშეჯიბრო გზის სრული დათვალიერება და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეების, მაყურებლების და მსაჯების საშეჯიბრო გზიდან გამოყვანა ან მათი უსაფრთხო დაშვების კოორდინაცია.

7.7 სასტიკად აკრძალულია მოტოციკლებით გადაადგილება სპეციალურად მოწყობილი საშეჯიბრო გზის გარდა სხვა ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება დამრღვევი პირის დაჯარიმება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ.

7.8 მონაწილეს უფლება აქვს შეჯიბრის დასრულებიდან ერთი საათის განმავლობაში წერილობითი ფორმით აცნობოს სადაო საკითხი მთავარ მსაჯს.მთავარი მსაჯი ვალდებულია განიხილოს სადაო საკითხი დაჯილდოებამდე სამსაჯო კომისიასა და საორგანიზაციო ჯგუფთან ერთად.

8. რეკომენდაციები

8.1 მონაწილეებისათვის რეკომენდირებულია, გარდა აუცილებელი ეკიპირებისა აღჭურვილნი იქნან სხვა სპეციალური დამცავებით (გულმკერდის დამცავი, საწვიმარი...)

8.2 გამომდინარე რთული საშეჯიბრო გზიდან,რაც მოითხოვს შეჯიბრის მსვლელობის დროს სპორტსმენის სრულ ფიზიკურ დატვირთვას, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ განსაზღვროს პირადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და იმოქმედოს შესაბამისად მისი ფიზიკური მონაცემებისა.

8.3 გამომდინარე რთული საშეჯიბრო გზიდან, რეკომენდირებულია მონაწილემ წინასწარ მოამზადოს თავისი მოტოციკლი და დარწმუნდეს მის ტექნიკურ გამართულობაში.